**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 286 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 286

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.


## რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქციამ ბინა გამოიცვალა და გადავიდა უფრო მოხერხებულ ადგილას, სახელდობრ ბარონის ქუჩაზედ, სახლი კ. ალექსი-მესხიშვილისა, კალოუბნის ეკკლესიის გვერდზედ, ფოსტის მახლობლად.


ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 10 (აბონემენტის რიცხვში).

**სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, 1904 წ.

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

ქართულ დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

**ყაჩაღები**

ტრაგედია 5 მოქმ., შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნი ოლ. ლეჟავა ღ სხვ.; ბ-ნნი: **ვლ. ალექსი-მესხიშვილი**, ს. სვიმონიძე, შათირიშვილი, გედევანოვი, შალიკაშვილი, ივანიძე, ჩარკვიანი, სარჯველაძე, იორდანიშვილი, წუწუნავა, მეტრეველი, ჟივიძე ღ სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

**მზადდება წარმოსადგენად:** «იულიოს კეისარი», «რუი ბლაზი», აზიანის ახალი პიესა «სამშობლოს ბურჯნი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 15 დეკემბერს,

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის-მიერ წარმოდგენილი იქმნება

**ყაჩაღები**

ტრაგედია 5 მოქ., შილლერისა, თარგმ. ნ. ავალიშვილისა,

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

ხუთშაბათს, 16 დეკემბერს,

გასტროლი საიმპერატ. თეატრის არტისტ. ქალის ნადეჟდა ამბროსის ასულის **პაპაიანისა.**

წარმოდგენილი იქმნება

**ცარსკაია ნევესტა**

ოპერა 4 მოქმედ., მუსიკა რიმსკისა.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

პარასკევს, 22 დეკემბერს,

წარმოდგენილი იქნება

**მაზეპა**

მუსიკა ჩაიკოვსკისა.

ოთხშაბათს, 17 დეკემბერს,

კასსა «Location»-ის კასირ-ქალის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქმნება

**ევგენი ონეგინი**

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **მანდარინის შვილი**», ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

20 ამა დეკემბერს

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება „წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ

**კონცერტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ფერტიგი; ბ-ნნი ვილშაუ, მესხი კ. ს., მესხიშვილი ა, ი., პოლივკა, რჩეულიშვილი, ტომაშევიჩი, ჯაფარიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ბ-ნ ზაქ. ფალიაშვილის ლოტბარობით

**კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული**

**ცეკვა.**

ბილეთები ისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურთა ქარვასლა).

(5—5—1)

ჟურნალ „ჯეჯილის" პრემია

**ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი**

იბეჭდება და ამ ცოტა ხანში დაურიგდება «ჯეჯილის» 1904 წლის ხელის მომწერლებს.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**ნ. ზ. აფეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


## უმაღლესი ბრძანება

**ხელმწიფე იმპერატორისა, ბოძებული უუმართებულესის სენატისადმი.**

(დეპეშა რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტერბურგი,** 13 დეკემბ. (ოფიციალური).

უმაღლესი ბრძანება უუმართებულესის სენატისადმი წინასწარ მოსაზრებულ ღონისძიებათათვის სახელმწიფო წეს-წყობილების განსაკარგებლად: «გვირგვინოსანთა მამა-პაპათა ჩვენთა საღმრთო აღთქმისამებრ მუდამ მზრახველნი ღვთივ ჩვენდა მონდობილ სახელმწიფოს კეთილდღეობისა, საჭიროდ მივიჩნევთ, აუცილებლივ დავიცვათ რა შეურყეველად ძირითადი კანონები იმპერიისა, მართვა-გამგეობის საგნად მიგვიჩნევია დაუცხრომელი მზრუნველობა ქვეყნის საჭიროებათათვის იმ პირობით, რომ განსხვავებულ იქმნას ყოველივე ჭეშმარიტად შესაბამი რუსეთის ერის ინტერესებისა იმ მისწრაფებათაგან, რომელიც ხშირად შეცდომილ და არა ასებითის, არამედ შემთხვევითის გარემოებით არის გამოწვეული. ხოლო როცა ამა თუ იმ ცვლილების საჭიროება უკვე მომწიფებულია, საჭიროდ მიგვაჩნია მივყოთ ხელი მის განხორციელებას, თუნდა იმ ცვლილებისათვის აუცილებელი იყოს ძირათადი შევსება კანონმდებლობისა. ეჭვი არა გვაქვს, ამისთანა საქმეთა განხორციელება თანაგრძნობით იქმნება მიღებული ჩვენთა ქვეშევრდომთა კეთილგონიერთ ნაწილისაგან, რომელსაც სამშობლო ქვეყნის ჭეშმარიტ წარმატებად მიაჩნია დაცვა სახელმწიფო მყუდროებისა და განუწყვეტელი დაკმაყოფილება ერის ამა თუ იმ არსებითის საჭიროებისა. ჩვენთა ზრუნვათა სათავეში დაგვიყენებია ჩვენ აზრი ჩვენის რიცხვ-მრავალის გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრების უკეთესად მოწყობისა და ამიტომ, ჩვენის წინასწარ ჩვენებით, ეს საგანი უკვე განხილვაშია ცალკე საბჭოში, რომლის მონაწილენიც არიან განსაკუთრებით გამოცდილნი უმაღლესნი მოხელენი. ამ მოხელეთ ხელთა აქვთ თვით ადგილობრივ განხილული და განსჯილი შინაგან-საქმეთა სამინისტროს წინასწარი მოსაზრებანი; საბჭო იკვლევს და სწავლობს უმთავრეს საგნებს გლეხ-კაცთა ცხოვრების უკეთ მოწყობისას. საფუძვლად ამ კვლევის დროს საბჭოს აქვს ის ცნობანი და მოსაზრებანი, რომელნიც ადგილობრივ გამოითქვა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა კომიტეტების მიერ. ახლა ვბრძანებთ, რომ იმ შესწავლისა და მუშაკობის მეოხებით საგლეხ-კაცო კანონები გაუერთიანდეს და შეეწონოს იმპერიის ზოგადს კანონ-მდებლობას, რათა უზრუნველყოფილ იქმნას უფლება გლეხ-კაცთა ისარგებლონ და გამოიყენონ მეფე-განმათავისუფლებელისაგან მათდა მინიჭებული მდგომარეობა სრულ უფლებით მოსილ და თავისუფალ სოფლის მკვიდრთა. შემდეგ ამისა, გადავავლეთ-რა თვალი ერის დანარჩენ საჭიროებათა განუსაზღვრელს ასპარეზსა, აუცილებელ საჭიროებად ვსცანით სახელმწიფოსა და საზოგადოებრივის ცხოვრების კანონიერ მსვლელობისათვის ჩვენს სამშობლოში: I. მიღებულ იქმნას ნამდვილნი ღონისძიებანი, რათა სრულიადი ძალა კანონისა არ შეირყეს; ეგ ძალაა თვითმპყრობელ სახელმწიფოში უმთავრესი ბურჯი ტახტისა; კანონის აღსრულება და მისი მორჩილება უნდა იყოს უპირველესი მოვალეობა ყოველის ჩვენის ხელ-ქვეითის მთავრობისა; ხოლო მის აუსრულებლობას უნდა მოსდევდეს აუცილებლად ყოველის თვითნებობისათვის პასუხის გება. ამიტომ უნდა გაუადვილდეს ყველას, ვინც დაზარალდა ასეთის საქციელის მიზეზით, მართლ-მსაჯულება მოიპოვოს. II. მიეცეს ნება ერობისა და ქალაქის დაწესებულებათა, რამდენადაც კი შეიძლება, ფართო მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ ყოველს მოსაწყობელ და მოსაწესრიგებელ საქმეში; ამისათვის უნდა მიენიჭოთ საჭირო დამოუკიდებლობა კანონის საზღვართა შორის. მოწოდებულ იქმნან ამ დაწესებულებათა მოღვაწეობაში მონაწილეობის მისაღებად, გაერთიანებულის წესით, ვისმე გამოუკლებლად, წარმომადგენელნი მთლად იმ მცხოვრებთა, რომელთაც-კი ადგილობრივ საქმეთა მსვლელობაში ინტერესი აქვთ. სხვა და სხვა საჭიროებათა უკეთ დასაკმაყოფილებლად, დღევანდელ საგუბერნიო და სამაზრო საერობო დაწესებულებათა გარდა, მათთან დაკავშირებით, დაარსდეს საზოგადო ორგანოები და მათ განაგონ ცხოვრების კეთილად მოწყობის საქმენი პატარ-პატარა რაიონებში. III. რათა თანასწორობა კანონის წინაშე დაცულ იქმნას ყველა წოდების კაცთათვის, უნდა ერთიანობა დამყარებულ იქმნას მთლად სამოსამართლო საქმეში და ყველა ხარისხის სასამართლოებს მიენიჭოს საჭირო დამოუკიდებლობა. IV. განვითარებულ იქმნას ჩვენ მიერ უკვე მიღებულნი ღონისძიებანი მუშათა ბედის განსაკარგებლად ფაბრიკებსა და ქარხნებში სახელმწიფო დაზღვევის შემოღებით. V. გადასინჯულ იქმნას ის განსაკუთრებულნი კანონდებულებანი, რომელნიც გამოიცა მაშინ, როცა საზოგადო წესიერების მტერთ ისე საოცრად და ისე უმაგალითოდ აიღეს თავი მაღლა და რომელთა წყალობითაც ისეთი დიდი უფლება მიეცათ ადმინისტრაციის წარმომადგენელთ. ამასთანავე უნდა მიღებულ იქმნას ღონისძიებანი, რომ შემცირდეს, როგორც ის ადგილნი, სადაც ეგ კანონები მოქმედებდა, ისე რიცხვი იმ შემთხვევათა, როცა მაგნაირ კანონების მიღებას შევიწროება მოსდევს კერძო კაცთა. ეგ შევიწროვება მხოლოდ მაშინ მოჰხდეს, როცა მართლა სახელმწიფო უშიშროებას განსაცდელი მოელის. VI. იმის განსამტკიცებლად, რაც უკვე გამოვსთქვით 1903 წელს 26 თებერვლის მანიფესტით და რაც ჩვენი გულითადი და შეურყეველი სურვილია, რომ სარწმუნოების საქმეში შეწყნარება იყოს გამეფებული, გადაისინჯოს წესდებულებანი მწვალებელთა შესახებ, აგრეთვე იმათ შესახებ, რომელნიც მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისანი არ არიან. აგრეთვე, ახლავე მიღებულ იქმნას ღონის ძიება საადმინისტრაციო წესით, რომ არავითარი ისეთი შევიწროება სარწმუნოების საქმეში არ ადგეთ, რაც პირდაპირ კანონით არ არის ნაჩვენები. VII. გადაისინჯოს დღევანდელნი წესდებულებანი, რომელთა წყალობითაც შეზღუდულია უფლებანი არა-რუსთა და მათ შორის შემდეგისთვის დარჩეს მხოლოდ ისეთნი, რომელთა არსებობაც გამოწვეულია სახელმწიფოს დიდ-მნიშვნელოვანის ინტერესებითა და რუსეთის ერის ცხადის სარგებლობითა. VIII. ამორიცხულ იქმნას მწერლობის შესახებს ეხლანდელ კანონდებულებათაგან გადამეტებული შემავიწროებელნი წესნი და დასტამბული სიტყვა დაექვემდებაროს მტკიცედ ღ ცხადა განსაზღვრულ კანონს, რათა მით მიეცეს შეძლება ჩვენის სამშობლოს მწერლობას, განათლების წარმატებასთან შესაბამად და მისდა კუთვნილ მნიშვნელობისამებრ, ღირსეულად შეასრულოს თვისი მაღალი მოწოდება და იყოს გულმართალი გამომთქმელი რუსეთის სასარგებლოდ მიმართულ მისწრაფებათა.

წინდაწინვე აღვნიშნავთ-რა,-რა საფუძველზედ უნდა დამყარდეს ახლო მომავალში დიდი შინაგანი ცვლილებანი, რომელთა ზოგიერთი ნაწილი უკვე გამოკვლევასა და გამოძიებაშია, წინად ჩვენ მიერ ნაუწყების ჩვენებით, ამასთანავე საკეთილოდ ვსცანით, ის წესიც დავადგინოთ, რომელიც საჭიროა ამ ცვლილებათა საჩქაროდ და სავსებით შემოსაღებად და რომელიც ყურადღებას მიაქცევს თითოეულის მეტს მნიშვნელობას. ჩვენთა სახელმწიფო დაწესებულებათა შორის მართვა-გამგეობის თითოეულის ნაწილის გაერთიანება საქმეა მინისტრთა კომიტეტისა. ამიტომ უბრძანებთ ამ კომიტეტს, შეუდგეს თითოეულ ზემოხსენებულ საგნის განხილვას და გაარკვიოს, რომელი წესი უფრო უკეთესი იქმნება ჩვენის განზრახვის განსახორციელებლად და სულ მოკლე ხანში წესისაებრ წარმოგვიდგინოს თვისი აზრი. როგორც იწარმოებს შემდეგ თანდათან ეგ საქმე ზემოხსენებულ საგანთა განხილვისა და განხორციელებისა, კომიტეტმა უნდა ჩვენ მოგვახსენოს ყოველთვის. უუმართებულესმა სენატმა ყოველ-ამის აღსასრულებლად ჯეროვანი განკარგულება უნდა მოახდინოს». ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: «**ნიკოლოზ**».

ცარსკოე სელო 12 დეკემბერს 1904 წელს.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

პორტ არტური. «რუს. სლ.»-ის სამხედრო მიმომხილველი, ბ. როსსი პორტ არტურის ფლოტის დაღუპვისა და იაპონელების მიერ კიკვანშანის ფორტის აღების შესახებ სწერს:

დიდის მწუხარებით უნდა აღვიარო, რომ პორტ-არტურთან იაპონელებმა ძალიან გაიმარჯვეს. 203 მეტრიან გორის აღებამ პორტ-არტურის ფლოტს ბოლო მოუღო. ეს ფლოტი სწორედ მაშინ დაიღუპა, როცა ყველაზედ უფრო საჭირო იყო: მისმა დაღუპვამ ადმირალ ტოგოს ხელი შეუწყო, რადგან, როგორც დეპეშიდგან სჩანს, ადმირალმა ტოგომ პორტ-არტურთან მხოლოდ პატარა გემებისგან შემდგარი რაზმი დასტოვა ღ თვითონ კი ძლიერის ესკადრით ადმირალ როჟესტვენსკის დასახვედრათ ემზადება.

მეორე ამბავი პირველზედ უფრო გულსაკლავია: იაპონელებმა კიკვანშანის ფორტები ააფეთქეს და ხანგრძლივის ხელ-ჩართულ ბრძოლის შემდეგ ფორტები აიღეს. კიკვანშანის ფორტები კლდეებზეა აშენებული, მაგრამ იაპონელთა საპიორებს ვერც ამ კლდეებმა შეუშალეს ხელი და ამრიგად იაპონელებმა ერთი უდიდესი და უძნელესი საქმე შეასრულეს. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ პორტ-არტუ-

რის მეციხოვნე ჯარმა იაპონელთა მუშაობა ვერ შენიშნა და წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ეხლა მეციხოვნე ჯარმა ფორტების მეორე რიგზედ უნდა დაიწყოს ბრძოლის ახალი ხანა. კიკვანშანის აღების შემდეგ ყველა ფიქრობს და მოუთმენელად ელის მთელ პორტ-არტურის აღებას. ნეტა კიდევ დიდხანს შეინარჩუნებენ პორტ-არტურის მცველნი თავიანთ ციხეს? ან იქნება უკანასკნელმა საათმაც დაჰკრა? ვინ იცის? ამის ცოდნა არავის არ შეუძლიან (რ. ს.).

—

„კენიგ. გაზ.“-ს ტოკიოდგან დეპეშითატყობინებენ: პორტ არტურთან მყოფ იაპონიის ჯარის მთავარ ბანაკიდგან ცნობა მოვიდა, რომ მეათეჯერ ნასროლ ნაღმით ჯავშნიანი გემი «სევასტოპოლ»-ი სამუდამოთ განადგურებულ იქმნაო. გემი ზღვის ძირზედ დადგა და, უეჭველია, საბრძოლველად სულ აღარ გამოდგებაო (რ. ვ.).

—

**დიდ ოკეანის მეორე ესკადრა.** „ნოიე ფრეიე პრესე“ სწერს: რუსეთის ინტერესი მოითხოვს, რომ დიდ ოკეანის მეორე ესკადრამ, რაც შეიძლება, საიდუმლოდ იაროს და იპონელებმა რიგზე ვერ გაიგონ, სად დაეცემათ ეს ესესკადრა. მაგრამ ამ საიდუმლოების დამალვა გაძნელდება, რასაკვირველია. შეიძლება, ნეიტრალურ სახელმწიფოებს სთხოვონ და ესკადრი მოსვლის ამბავი არ გამოაცხადებინონ, შეიძლება ესკადრის თაობაზე კერძო დეპეშებიც არ გააგზავნინონ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ დრომდე მოხერხდება, სანამ ესკადრა ინგლისის ზღვებში არ შევა. ინგლისი-კი არავის არ დაუშლის რუსეთის ესკადრის ამბის გამოცხადებას და რამწამს ესკადრა კეთილ იმედის კონცხთან გაჩნდება, მთელი ქვეყნიერობა შეიტყობს ამ ამბავს (აკი ასეც მოხდა). კეთილ იმედის კონცხს რაკი გაივლის, ესკადრა ისევ გაქრება. კუნძულ მადაგასკარამდე საკმაოდ უდაბური გზაა და იქნება ესკადრა სავაჭრო გემებსაც ასცდეს. იქნება, საფრანგეთმაც ღონისძიება მიიღოს და ესკადრის მოსვლის ამბავი კუნძულთან არავის გააგებინოს, მაგრამ, უეჭველია, იაპონელები ყველა ნავთ-სადგურს უგდებენ ყურსა; შესაძლებელია, მადაგასკართან იაპონიის მოდარაჯე კრეისერებიც იდგნენ და რუსეთის ესკადრის ამბავი ხელად ტოკიოში შეატყობინონ. შესაძლებელია, იაპონელების ესკადრას ინდოეთის ოკეანეშიაც შეებრძოლნენ. ერთის სიტყვით, ადმ. როჟესტვენსკის მეტად დიდი ძნელი და სახიფათო საქმე ჰხვდა წილად (ნ. დ.).

«ტაიმს»-ი იუწყება: რამდენიმე ხანია, რაც რუსეთი დიდძალ გემებსა ჰქირაობს ქვა-ნახშირის წასაღებად დიეგო-სუარეცში კუნძულ მადაგასკარის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაპირად. გაზეთი შეჰნიშნავს, ეს ცნობა ძალა უნებურად გვაფიქრებინებს, რომ რუსის ესკადრის (ადმ. როჟესტვენსკის) რაზმები სწორედ დიეგო-სუარეცში შეუერთდებიან ერთმანეთსაო. (რ.).

—

**მესამე ესკადრის გაგზავნა.** პორტ არტურის ესკადრის განადგურების შემდეგ რუსეთში ყველა დარწმუნდა, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ვერას გახდება იაპონიის ფლოტთან და გაზეთებმა ბეჯითად მოითხოვეს, ადმ. როჟესტგენსკის მესამე ესკადრაც უნდა მივაშველოთო. გაზ. «ნოვოსტი» სწერს: «თუ რუსეთი გაჰგზავნის ახალ ესკადრას, იაპონიაც გააძლიერებს თავის ფლოტს და ამნაირად დაუსრულებელი გახდება ზღვაში ბრძოლა არა სჯობია ეხლავე გამოვტყდეთ, რომ ზღვაში იაპონელების დაძლევა არ შეგვიძლიან. ზოგიერთი ოცნებობს, რუსეთი ორიოდე თვეში დიდ საზღვაო სახელმწიფოდ უნდა გადავაქციოთო,—ეს დიდი შეცდომაა. იაპონია კუნძულებზე მდებარეობს და ნამდვილი საზღვაო სახელმწიფოა; რუსეთი კი ხმელეთის სახელმწიფოა და ხმელეთზე უნდა გამოიჩინოს ძალა. იაპონია ზღვაში ისეა, როგორც თავის საკუთარ სახლში და რუსეთზე ძლიერიცაა. ათ და ას მილიონობით რისთვის უნდა ჩავყაროთ წყალში? განა ას წილად არ ეჯობინება ახალ ესკადრებისათვის დანიშნული ფული ციმბირის მეორე რკინის გზის გაყვანასა და მანჯურიაში ახალ არმიის გადაყვანას მოვანდომოთო? ვიმეორებთ, რუსეთმა მანჯურიის არმია, რაც შეიძლება, მეტად უნდა გააძლიეროს და გაბედული, მედგარი იერიში მიიტანოს იაპონიის არმიაზე. ეს უფრო მალეც მოხერხდება და ადვილი ასასრულებელიცაა, ვიდრე მესამე ესკადრის გაგზავნა».

—

**წვრილი ამბები:** ბალტიის გემთა ამშენებელ ქარხანაში პორტ-არტურიდგან შემდეგი დეპეშა მიუღიათ: «მუშაობას თავი დავანებეთ, სანიტარებად ჩავეწერეთ» (რ. ვ.).

—

«ბერლ. ტაგე.»-ს ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ: გემებმა „კორეია“-მა და „კალაგავა-მარუ“-მ მრავალი წყალ ქვეშ მავალი ნავი მოიტანეს. ამ ნავებს იოკოზუკოსთან სცდიან ამ ნავებს, როგორც ამბობენ, ხაკოდატესა და კუნძულ ფორმოზასთან დასტოვებენ. (რ. ვ.).

—

«პეტ. ჟურ.»-ი სწერს: გერმანიის იმპერატორმა თავის მთავარ შტაბს სთხოვა, მთავრობის ხარჯით მანჯურიაში რუსეთის ჯარის ტაქტიკის შესასწავლად 300 გერმანელი აფიცერი გაგზავნეთო. ამისთანავე აზრს დასდგომია საფრანგეთის ახალი სამხედრო მინისტრი ბერტო. თუ რუსეთის მთავრობამ ნება დართო, გერმანიაცა და საფრანგეთიც შორეულ აღმოსავლეთში მრავალ აფიცრებს გაგზავნიან (რ. ვ.).

## ახალი ამბავი

—

**ქართული წარმოდგენა.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 15 დეკემბერს, ტფ. სახაზინო თეატრში, ქართულ დრამის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება, ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, შილლერის 5 მოქ. ტრაგედია «ყაჩაღები». იმედია საზოგადოება მრავლად დაესწრობა ამ წარმოდგენას.

*** **უბედური შემთხვევა.** გუშინ წინ, 13 დეკემბერს, ვერის ხიდის ქვემოდ, იმ ადგილას, სადაც ელექტრონის სადგურს აკეთებენ ტფ. ტრამვაისათვის, შემდეგი უბედურება მოჰხდა: ელექტრონის სადგურის ბუხრის სახურავიდგან, რომელიც თითქმის 10 საჟენის სიმაღლეა, გადმოვარდა რუსეთიდგან საგანგებოდ გამოწერილი ოსტატი, რომელიც ის იყო ამთავრებდა კიდეც სამუშაოს, და იქვე სული განუტევა.

*** **ექიმი ვასილ წერეთელი** დროებით გაჰგზავნეს სადახლოში (ბორჩალოს მაზრა) ხოლერასთან საბრძოლველად, როგორც სპეციალისტი.

*** **გამარცვა.** «ნოვ. ობოზრ.» ს ბათუმიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ 12 დეკემბერს, «რკინის თეატრის» მახლობლად, საღამოს რვა საათზედ, მძარცველთა ბრბო თავს დაესხა ერთ-ერთს მცხოვრებს. შეიქნა ერთი აურ-ზაური და ყვირილი, რამაც ავაზაკები აიძულა გაქცეულიყვნენ. გაქცევის დროს ავაზაკები ბერდანის სისტემის თოფებს ისროდნენ, რომ პოლიცია არ გამოსდგომოდა დასაჭერად.

*** **«შრომის ბიუროს» გაუქმება.** ორი წელიწადია ტფილისში არსებობს «შრომის ბიურო», რომელიც დააარსა ქარვასლის პატრონმა ბ-ნმა ნ. ი. თამამშევმა. ეხლა ბ-ნი თამამშევი თავის გაზ. „კავ. ლისტ.“-ში აცხადებს, რომ მომავალ წლის 1-ლ იანვრიდგან „ბიურო“ გაუქმდებაო, ხოლო რა მოსაზრებით, არ ვიცით; ამ «ბიუროს», ეჭვი არაა, თუ სარგებლობა არა, ზიანი მაინც არ მოჰქონდა ხალხისათვის და გუქმება სამწუხარო მოვლენაა, მით უფრო, რომ არავინ აიძულებს ბ-ნ დამაარსებელს „ბიუროს“ გაუქმებას.

*** **ქალ. ბაქოს პარიჟის ფირმა** ჟან იდოქს-რუე-ბლომეტი სესხად აძლევს 9.000,000 მან. 5%-ად; ბაქოს ქალაქის თვით-მმართველობამ ეს სესხი უნდა გადაიხადოს 50 წლის განმავლობაში.

*** **წერილები მედვინეობაზედ.** ჟურნალ „ვესტნიკ ვინოდელია“-ს უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია დამსახურებულის პროფესორის ვასილ პეტრიაშვილის წერილების გაგრძელება; «ღვინის ძმრის მომზადება», და პროფესორის პ. მელიქიშვილის წერილი «ანალიზი ხერსონის გუბერნიის ზოგიერთ ღვინოებისა».

*** **ახალი კალენდარი.** მოგვივიდა მომავალ 1905 წლის „საყოველთაო კალენდარი“ მართლმადიდებელთა, კათოლიკეთა, სომეხ გრიგორიანთა, მაჰმადიანთა და ებრაელთა, შედგენილი და გამოცემული კ. თავართქილაძის მიერ. კალენდარი შედარებით სუფთადაა გამოცემული და საყურადღებო ცნობებია მოთავსებული. სხვათა შორის, კარგად არის შედგენილი სალიტერატურო განყოფილება. კალენდარში ორი განყოფილებაა: სათვეო და სალიტერატურო-სამეცნიერო. პირველი ნაწილი შეიცავს 64 გვერდს, ხოლო მეორე 210 გვ. კალენდარი დასურათებულია მრავალის ქართველ და რუს მოღვაწეთა სურათებით და ჰღირს ერთ აბაზად, რაც ძვირი არ არის.

*** **სარევიზიო კომისიის კრება.** დღეს, 15 დეკემბერს, ტფილ. ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექმნება სარევიზიო კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს ქალაქის გამგეობის ანგარიში; 1902 წლისა, რომელიც ჯერაც განუხილველი ყოფილა თურმე.

—

### ბ ა კ ვ რ ი თ.

### ქალაქის „მამათათვის“.

საინტერესო სჯა-ბაასია საბჭოს ამა თუ იმ უკანასკნელ კრებაზედ გამართული. ბევრს საყურადღებოს მოისმენს მოქალაქე საბჭოს დარბაზში, სადაც ამ ჟამად ქალაქის «მამანი» იმ ფრიად საჭირო და ყურადღების ღირსს საგანს არკვევენ, რომელსაც მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა ჰქვიან. აქ მოქალაქე თავის თვალით დაინახავს და თავის ყურით გაიგონებს, როგორ იღვწიან მისის კეთილდღეობისთვის მისგანვე არჩეულნი; რა გეგმა უდევს სარჩულად მათ მოღვაწეობას, რომელი მათგანი ჩაითვლება მართლა მამად და ვინ უწევს ისეთს სამსახურს, რომელიც შეჰფერის მხოლოდ შვილებზედ გულ-აყრილს და ფარისეველ მამინაცვალს.

ბევრს უცნაურსაც გაიგონებს მოქალაქე ამ დარბაზში. გაიგონებს, მაგალითად, რომ ხმოსანს ე. ი. იმას, რომელსაც ხელში უპყრია მოქალაქისაგან მინდობილი სიმართლის სასწორი, სადაც საწონად უნდა იხმარებოდეს მარტო ოდენ კეთილ-დღეობა ხარჯის გამღებისა, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს იგი, მდიდარი, ღარიბი, თათარი, სომეხი, ქართველი თუ ურია, რომ ხმოსანს სულაც არ შეჰფერის თვალ-ყური ადევნოს ქალაქის გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშებს, ან რა მისი საქმეა, ყოველს კაპეიკს გამოეკიდოს, მისი დასაბუთება და ახსნა მოინდომოს, როცა გამგეობა არწმუნებს, მცოდნეთაგან შედგენილია, მცოდნეთაგან გადათვალიერებულია ხარჯთ-აღრიცხვაო; რა უყოთ რომ ხმოსანმა ანგარიში უნდა გაუწიოს, თავის ჯიბით უნდა გასცეს პასუხი იმას, ვინც თავისი ამორჩეული კაცი ე. ი. ხმოსანი სწორეთ იმიტომ გაგზავნა საბჭოში, დროზედ ხმა ამოიღოს, უწესრიგოდ შეტანილს, თუ გამოტანილს საერთო კასიდან თანხას გზა შეუკრას, მდიდარს ღარიბი არ დააჩაგვრინოს.

აი სწორეთ ასეთს ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდა საბჭოს წარსულ სამშაბათის კრებაზედ ხმოსანი ა. ღულაძე.

რაღაც ეშმაკათ არ დასჯერდა გამგეობის ერთის წევრის ახსნას, ან უკეთ ვსთქვათ—დაბუნდოვანებას ერთს საგანში, რომლის განსამარტავადაც ხმოსანმა გამგეობას მიჰმართა.

ხმოსანმა იკითხა სახელდობრ, რა მიზეზია, რომ სახელოსნო სკოლასთან არსებული ქალაქის სახელოსნო თანდათან ნაკლებს შემოსავალს იძლევაო. მაგალითად, შარშან თუ ერთი ორად ნაკლები შემოსავალი მისცა მან ქალაქს, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შარშანდელთან შედარებით კიდევ შესამჩნევად ნაკლები შემოსავალი ჩაგირთავთო. თუ დავეთანხმებით ასეთი შეკითხვა სრულიად კანონიერი და სამართლიანია. არამც თუ ქალაქის რთული მეურნეობა, არამედ თვითეულის ადამიანისაც იმას მოითხოვს, რომ რამე გეგმა იყოს შედგენილი, ყოველი კაპეიკი გამოანგარიშებული იყოს, ყოველს მანათს თავისი დანიშნულება ჰქონდეს და შემოსავალიც სასტიკს აღრიცხვას ემორჩილებოდეს. უამისოდ, ცხადია, ვერავითარი მეურნეობა და მეოჯახეობა ფეხს ვერ მოიკიდებს.

მაშ ვის, თუ არ ხმოსანს, ვეკითხებით ხმ. ა. ბაბოვთან ერთად გამგეობის ზოგიერთ წევრთ—შეჰფერის, რას ნიშნავს შეჰფერის—მძიმე მოვალეობად აწევს თვალ-ყური ადევნოს ქალაქის მართვა-გამგეობას, ყოველი ნაბიჯი გამგეობისა კრიტიკის ქარ ცეცხლში გაატაროს და აულაგმოს მადა ყველას, ვინც ნერწყვმორეული საზოგადო ქადისაკენ ნდომითა და სურვილით იცქირება.

გამგეობის წევრს ტიგრან ამბარცუმოვიჩ ენფიაჯიანს სულ სხვა შეხედულება ჰქონია ამ საგანზედ.

მან «ცეცხლითა და მახვილით» სწორედ ხმოსნის ამ ნაირ უფლების წინააღმდეგ გაილაშქრა. რა დროს კითხვებია, რა დროს შენიშვნებია, რა დროს თუმნებზედ სჯა-ბაასია, როცა ისეთი საყურადღებო საგანი აქვს საბჭოს განსახილველი, როგორც მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა არისო. ახირებული კაცია ეს ტიგრან ამბარცუმოვიჩი! იმას ეუბნებიან,

# ფელეტონი

—

### მ წ ა რ ი ა.

პირველ ზაფხულის მთვარესა,
იორს ნისლ ეწვა თავზედა,
ღრუბელი ხშირ ბოქირობდა
ეგრეთ, ვით მაღლა ცაზედა.

ბევრნი ყოფილან გმირები
საქრისტიანოს მხარესა,
ოფლი და ღვარი სისხლისა
ვინაც მას ანაცვალესა.

მაშინ ჩვენს საქართველოსა
გარშემო ერტყა მტერნია:
ლეკნი, თათარნი და სხვანი
ეტანებოდნენ ბევრნია;

სცარცვავდნენ საწყალსა ხალხსა
ძაღლები მრავალ გვარია;
საწყალ ქართველს კი ვერ ძალ-უძს
სძლიოს თვის მტერი მძლავრია.

***

სოფელი ომარაული
გომბორის ახლოს არია,
იქ სდგანან ბევრნი ფშაველნი,
წინ იორი აქვსთ წყალია;

შიგ ნაპირი აქვს ჭალასა
და ბევრი თევზიც არია;
იქ იყო ერთი ფშაველი,
სახელად ერქვა მწარია.

მათურელია ძირადა,
გახუტელი გვარია...
ერთხელ წავიდა ფშავშია,
სამნიც თან გაჰყვნენ სხვანია.

ეს ოთხი იყო ვაჟკაცი
მეხუთე სტანავ ქალია,
მისი სახელი ლელაი
და არცა ჰყავდა ქმარია.

ესენი ლაშარს მიდიან,
ხატი აქვსთ სალოცავია,
იქ იმათ ედგათ მზირადა
დიდი ლეკების ჯარია.

ყველას ზედ ჰქონდათ თოფები,
ყველას წელთ ერტყათ ხმალია,
ცოტაც იარეს, წინ შეჰხვდათ
მათ ის ლეკების ჯარია.

იმას უმალვე, როდესაც
ლეკთ დაინახეს მწარია,
ფეხს აუჩქარეს და ერთ-ურთს,
ფიცხლად ჩაუკრეს თვალია;

დაიწყეს რაღაც ლუღლუღი,
თანაც სთქვეს სიტყვა მწარია:
«მაგან რომ ლეკი მოგვიკლა
არ არის დიდი ხანია»...

### ლ ე კ ე ბ ი

«აბა, რას იტყვით, ფშავლებო?
«თქვენ გაწევთ ცოდვა ბრალია!!?
«გირჩევნით, რომ დაგვმორჩილდეთ,
«აღარ ვიხმაროთ ხმალია;
«ან იარაღი მოგვეცით,
«ანუ ეგ ფშავლის ქალია!!?

### მ წ ა რ ი ა.

«რას ამბობთ ნეტავ, ლეკებო?!
«რატომ არა ხართ ჭკვასაო?!!
«აქ თუ ფულს რასმე მოგველით,
«მიტომ გვიღობამთ გზასაო?

«მანამდისა ვარ ცოცხალი,
«მე თქვენ არ მოგცემთ ყმასაო;
«ის გვიჯობს, ერთ-ურთს ნებითა
«დავანებებდეთ თავსაო».

### ლ ე კ ე ბ ი.

«შენ გატყობთ, ღორო ფშაველო,
«სულაც არ გვიგდებ ყურსაო;
«სულ ყველას ყმათა წაგასხამთ,
«ჩვენ არ დაგიდევთ ფულსაო...
«არ მოხვალთ?! ძალად მოგიყვანთ,
«თანაც გიგინებთ რჯულსაო.

### ფ შ ა ვ ლ ე ბ ი.

«აი, შენ ძაღლო, რჯულ ძაღლო,
«რათ შაიგინე რჯულია?!!
«მაშინა მოჰხვდეს ერთ-ურთსა,
«მიწამ დაუგდოს ყურია..,

«რათ გავარჩიოთ ცალკ-ცალკე,
«მათი მტრობა და შურია;
«ახლა გაიგებთ, ძაღლებო,
«ვინ ვის დაჰტოვებს კრულია!

«ან ვისი გული ლაღია,
«ან ვისა ჰბნედავს მურია,
«ან ვინ დარჩება ცოცხალი,
«ვის ამოუვა სულია.»

***

ეწყინათ ძრიან ლეკებსა
ესეთი ქცევა მგზავრების,
კიჟინით წამოურბინეს
პატარა რაზმსა ფშავლების.

დასჭყივლა ლეკის ბელადმა,
გული აქვს მამაცურია;
არა ვინ არის გატეხით,
ომი ჰსურთ ვაჟკაცურია.

***

წინ-წინ ბელადნი გავიდნენ
საომრად მოედანზედა,
გაუთამაშეს ერთმანეთს,
ხელიც გაიკრეს ხმლებზედა.

ჯერ ლეკმა შემოუქნია,
ფშაველი გადგა განზედა,
უწვდინა ფრანგულის წვერი,
ცოტაც დაუკრა ფარზედა;

ფშაველმაც შემოუქნია,
დაჰკრა მარცხენა მკლავზედა,
ახლა მეორეთ მოუსვა,
თავი არ დადგა მხარზედა.

მაშინ კი მთელი ლაშქარი
მოჰხვდა ერთ-ურთსა ძალზედა:
ზოგნი თოფებით, ზოგნი ხმლით
ომობენ ივრის წყალზედა.

ღმერთია მაყურებელი,
მზეც მათ დაჰყურებს თავზედა.
რა საკვირველი დრო არის,
უმწარესია შხამზედა!

საოცრად ებრძვის ერთ-ურთსა
ფშავლის და ლეკის ჯარია,
ერთმანეთისა სისხლითა
შელებეს ივრის წყალია.

დაჰკივის ლეკებს ლელაი,
შეუპოვარი ქალია,
პირდაპირ ომობს შუბითა,
წელს კი არ არტყამს ხმალია.

ბეწინას თოფი მოჰშლია,
აღარ უდგება ტალია,
მაინც კი ებრძვის ლეკებსა,
ამოიწოდა ხმალია.

ბეწინაც ფშაველი არი,
თავ-განწირული ძმებისა,
ერთხელ არ გაუჟლეტია
მცირედი რაზმი ლეკისა,

ბეწინამ შიშველის ხმლითა
შემოუძახა ფშავლებსა:

«მომყენით, ვინაც ვაჟი ხართ,
«ანუ ჯავრი გჭირთ მტერისა
«ეხლა კი არის, ფშავლებო,
«დღე ჩვენის გამარჯვებისა!»

***

გასწყვიტეს ლეკის ლაშქარი
ოთხ ფშაველთ, ერთმა ქალმაო;
გატეხა იცის იღბალმა,
განა მრავლობის ძალმაო!..

ციხე-გალავნათ აიგო
ძვალი იმ ლეკებისაო,
ველარ წაიღეს ლეკებმა
ზინათი ფშავლებისაო.

ბევრი იპოვის ადვილათ
ლხინის ლოდინში ჭირსაო,
თავის ჭკვით ვერაფერს ვიზამთ
ძალ თუ არ გვიძლევს ღვთისაო.

გაბრუნდა ლეკის ლაშქარი
გაცრუვებულის პირითა,
ველარ წაასხეს ტყვეები,
ველარ მიდიან ლხინითა;

აღარ მიჰყვება ბელადი
გაცინებულის პირითა.
ვინაც კი დარჩა ცოცხალი,
ისიც მივალის ჭირითა.

ახლა ისიც ვსთქვათ, ფშავლებმა
ვინ რა წაიღო სახელი,

საბჭოს სწორედ იმიტომა ჰქვიან საბჭო, რომ აქ ქალაქის საქმეებზედ ბჭობენ ქალაქის ნამდვილ პატრონების წარმომადგენლები, მათი მოვალეობაა სწორედ შენიშვნებზედ კითხვებზედ, მანეთებზედ და კაპეიკებზედ სჯა-ბაასი, რომელსაც ჯიბიდგან იღებენ. ტიგრან ამბარცუმოვიჩები კი არა, რომელთა რიცხვი შედარებით სულ მცირეა, არამედ ის ასი ათასი ხარჯის გამღებნი, რომელთაც სრული უფლება აქვთ მოითხოვონ ყოველის გროშის ანგარიში, უფლება აქვთ გაიგონ, როგორ უვლიან მის ქონებას მისი ამორჩეულნი კაცნი: ეუბნებიან ამას, ის კი, ტიგრან ამბარცუმოვიჩი თავისას გაიძახის და პირიდან დორბლებსა ჰყრის, თუ კი ვინმე შეეკითხა და ნამდვილის ამბის გაგება მოისურვა.

ცხადია,—იქ, საცა ასეთს შეხედულებას ფეხი მოუკიდნია, საცა საბჭო მხოლოდ ასეთ დასს ჩაუგდია ხელში, რომელსაც კანონად თავისი თავის უცოდველობა და ყველა` სხვანაირად მოაზრეს უყურადღებოდ დატოვება გაუხდია, ცხადია, მეთქი, იქ ხეირიანს რამეს არ უნდა გამოელოდეს კაცი და აკი, ღვთის მოწყალებითაც ტფილისის საბჭო ამ მხრივ თავის მისსიას მშვენივრად ასრულებს!

თქვენის თვალით უნდა ჰნახოთ, რამდენი სრულებით ფუჭი ბრძოლა, სრულებით უნაყოფოდ დახარჯული დრო და ძალა სჭირდება საბჭოში იმ პატარა შეგნებულ და პატიოსან ხმოსანთა გუნდს, რომელსაც საზოგადო საქმისთვის საკუთარ ინტერესებზედ ხელი აუღიათ, რომ რაიმე თავისი გაიყვანონ კრებაზედ; თქვენის ყურით უნდა გაიგონოთ, რა ცინიკურის ხარხარით ეგებება ყოველს პროგრესიულ აზრს. ესა თუ ის აბსკურანტი, რომელსაც ხმოსნის სახელი მხოლოდ ბრმა კენჭს ურგუნებია, და მაშინ აღარ გაგაკვირვებთ იმისთანა ახსნა, იმისთანა თავის მართლება, რომლითაც მისცა პასუხი გამგეობამ საბჭოს იმავე სხდომაზედ, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა ქალაქის გარდასახადების შეუტანლობის გამო. საქმე იმაშია, რომ გარდასახადის შეუტანლობა ქალაქის მთავარ-გამგეობაში ქრონიკულ სენად გარდაქცეულა. ჰუმანურის მოსაზრებით ტფილისის ქალაქის გამგეობა მოქალაქეებს წლითი-წლობამდე თან და თან ვალში ჰფლავს და ის კი დაჰვიწყებია, რომ თუ ხარჯის გამღები წელიწადში ცოტა ხარჯის გადახდას ვერ ახერხებს, ხომ სულ ვეღარაფერს შეიტანს ქალაქის კასაში, როცა რამდენისამე წლის გარდასახადი ერთად დააწვება კისერზედ მაგრამ ჰუმანური სარჩული გამგეობის მოქმედებისა მაინც პატივსადებია, წრფელის გულიდან ამონადენი წყარო სიბრალულისა და სიყვარულისა ვის გულს არ დაალბობს, და საბჭოც მზად იყო ერთხმად თავის გამგეობის პოლიტიკას შეჰრიგებოდა და არ გაეკითხა, მაგრამ აი სულ სხვა გარემოება, რომელიც სულ სხვა ელფერს აძლევს გამგეობის «ჰუმანურ» მოქმედებისადმი მიდრეკილებას და არკვევს, რომ ძაღლის თავი იქ ყოფილა დამარხული, საცა ვერავინ გაიფიქრებდა, გამგეობის ჰუმანურ კილოზედ გაბმულ სიმღერით შეცდომაში შეყვანილი.

საქმე იმაშია, რომ ხმ. ხუდადოვმა, ხატისოვმა და სხვ. ერთ უცანაურს გარემოებას მიაქციეს ყურადღება, გადასინჯეს რა გამგეობისაგან დარიგებული სია მათი, ვისზედაც წარსულს წელთა გარდასახადი მოგროვილიყო.

დაინახეს, რომ მათთან ერთად, რომელნიც სრულებით ღირსნი არიან ყოველისავე შეღავათით და დახმარებით ისარგებლონ, სიბრალულს და სიყვარულის წყაროს ხარბად დასწაფებიან ისინაც, რომელთაც მაშინ ექნებათ უფლება სიბრალული და სიყვარული მოითხოვონ, როცა თვითონ ისინი დახდიან სიბრალულისა და სიყვარულის ღირსად იმათ, ვინც მათთვის გარემოებას მეწველ ფურად გარდაუქცევია.

მოდით და მართლაც გაიგეთ რამე, მოდით და ერწმუნეთ გამგეობის გულწრფელობას, როცა გამგეობა; ერთის მხრით აცხადებს: რა ვქნათ, ვერ ვაგროვებთ გარდასახადს, იმიტომ რომ ზედმეტი ხარჯის გაღება მცხოვრებს აღარ შეუძლიან, მისი საცოდაობა გვწვავს და მათი სიღარიბე გვიშხამავს გულსაო, მეორე მხრით კი იმავე დროს იგივე გამგეობა არიგებს სიას ქალაქის მოვალეთა და ამ სიაში ათავსებს იმათ, რომელთა მამულები გოლოვინის პროსპექტზედ, ერევნის მოედანზედ, სოლოლაკში და სხ.ვ. მჭევრმეტყველურად უარსა ჰყოფენ გამგეობის ცრემლებს, რომელნიც, თუ ზოგიერთ შემთხვევაში სამართლიანად იღვრება, სამაგიეროდ, სხვა დროს, სულ მეტი და მავნებელიც არის.

ცხადია ამ ცრემლებში არ არის საქმე, ცხადია ჰუმანიზმი, სიბრალული და სხვა მხოლოდ სიტყვის მასალად არის ნახმარი, მხოლოდ ცარიელი ფრაზებია, საქმე კი კეთდება იმ შინაურ პოლიტიკის თანახმად, რომელსაც დღეს საბჭოში ადგია ძრიელი პარტია მაძღარ ადამიანთა, რომელთა ფსიხოლოგია კარგად მოგეხსენებათ, ეგრე რიგად ვერ ეწყობა მისწრაფებას, სურვილებს, იმედებს, რომელსაც გულში ატარებს, რომლისკენაც მედგრად მიისწრაფება ის, ვინც სცდილობს ადამიანთა ურთიერთობას ნიადაგად მოუპოვოს ექსპლოატაცია, უთანასწორობა, ცინიზმი და უსამართლობა კი არა, არამედ თანასწორობა, სიყვარული, პატივისცემა ადამიანის ღირსებისა და კულტურული შეგნება თვითოეულის წევრის მიერ თვისის მოვალეობისა.

და აი ახლა, როცა იმედების ხანამ, მგონი, გაიარა, ახლა, როცა დგება დრო მოქმედების, ნატვრის განხორციელებისა, გვსურს ვიფქროთ, რომ ის მცირე გუნდი მებრძოლთა, რომელსაც ზევით შევეხეთ, ახალი მოურავის დახმარებით ტფილისის საბჭოშიც შეიტანს ნაკადულს გაათკეცებულ მოღვაწეობისას, სიოს უკეთესის სიცოცხლისას.

ქობი.

# რუსეთი

გაზ. «რუს. ვედომ.-ს გომელიდგან შემდეგი დეპეშები მიუღია 2 დეკემბრის თარიღით:

1) მეტის-მეტად აღელვებულნი ვართ 30 ნოემბერს გომელიდგან გაგზავნილ «რუსეთის დეპეშათა სააგენტოს» დეპეშით, რომელიც გვაბრალებს, ვითომც განზრახ და წინადვე მოფიქრებულის აზრით გადაგვე-სხვაფერებინოს და დაგვემახინჯებინოს პროცესის ფაქტები; ჩვენ, ებრაელი კორესპონდენტები, გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი: «სააგენტოს დეპეშას, ცხადია, აზრადა ჰქონია ჩვენის ცნობების საზოგადოების თვალში დამახინჯება და, როდესაც ხსენებული სააგენტო სამსჯავროში წარსდგება, მხოლოდ მაშინ დავამტკიცებთ დეპეშის სიცრუვეს. მანამ კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვიაროთ, რომ პროცესის დროს ხსენებულ სააგენტოს წარმომადგენელი არ ყოფილა, მაშასადამე, სააგენტოს არაფერი არ ეცოდინებოდა, თუ როგორ, და ან რა რიგად გათავდა მთელი პროცესი. ხელს აწერენ: გლიკმანი, გორელიკი, პევზნერი, ბრუკი, სილვანი ლევინი».

2) ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, პროცესზე დამსწრე ქრისტიანენი კორესპონდენტები, რომ ჩვენი ამხანაგი კორესპონდენტები თავიანთ ცნობებს ჰკრებენ ჭეშმარიტ და უტყუარ ფაქტებიდგან. ამიტომ 30 ნოემბერს გომელიდგან მიღებული რუსეთის დეპეშათა სააგენტოს დეპეშა მიგვაჩნია საზიზღარ სიცრუედ. ხელს აწერენ: ბარბარე გამზიგურდი, პოდაშევსკი და სვირსკი.

ამ მოკლე ხანში შინაგან საქმეთა სამინისტრო განიხილავს სხვა და სხვა სამოსწავლო საზოგადოებათაგან შემოტანილ თხოვნებს. სხვათა შორის, საზოგადოებანი შუამდგომლობენ, რომ პასუხის გებაში იქმნას მიცემული ის კაცი, რომელიც საზოგადოების კანონს გადაუხვევს. მეორე თხოვნა შეეხება იმას, რომ საზოგადოება ადმინისტრაციის წესით არ გაუქმდეს, როგორც აქამდის ყოფილა. პირველად თურმე ამ საგანს განიხილავენ. (რ. ვ.).

— რიგიდგან „ნაშა ჟიზნ“-ს ატყობინებენ, რომ «ლანგესა და შვილებს» გემების ამშენებელ ქარხანაში, რომელშიაც 1,000 მეტი კაცი მუშაობს, ყველა მუშებს პირი შეუკრავთ და მუშაობისათვის თავი დაუნებებიათ. მიზეზი ისა ყოფილა თურმე, რომ გერმანიიდგან მოწვეული მუშები თითქმის სამჯერ მეტს იღებენ ხელფასს, ვიდრე ადგილობრივი მუშები და ამიტომ ახლა ესენი მომატებასა თხოულობენ.

— «რუს. ვედომოსტი» იუწყება, რომ რუსეთის საიმპერატორო საზღვაოსნო სატეხნიკო საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარემ უკანასკნელ კრებაზე შემდეგი განაცხადა: ამ ხანად გადასწყვიტეს დიდძალი გემები შეუკვეთონ, ხოლო ეს გემები უნდა გაკეთდეს საზღვარ-გარეთის ქარხნებში. საზღვაოსნო უწყება ამ შემთხვევაში იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ შეკვეთილი გემები უნდა მომზადდეს სამის წლის განმავლობაში, რაც რუსეთის ქარხნებს არ შეუძლიანთ. ეს აზრი შემცდარია, რადგან ამ ხნის განმავლობაში შეუძლებლად მიგვაჩნია, მომზადდეს ცოტათი მაინც შეგნებული მოსამსახურე ხალხი და ცხადია პირველ ხანებში ხსენებული გემები თავის დანიშნულებას ღირსეულად ვერ შეასრულებენ. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოვიწვიოთ რუსეთის ყველა მექარხნეები და მთავრობასთან შუამდგომლობა აღვძრათ, რომ ეს დიდი სამუშაო დასტოვონ ისევ რუსეთში, მხოლოდ ვადა მოგვცენ 5 წელიწადი, რადგან მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში შეიძლება მომზადდეს თვით გემები და გემებზედ მოსამსახურე ხალხიც. ეს წინადადება კრებამ ერთხმად მიიღო.

«იგივე გაზეთი» იუწყება, რომ საერო განათლების სამინისტრომ საშუალო სასწავლებლის მოწაფეთ აუკრძალა საეროვნო კრებებს დაესწრონ, იმ მოსაზრებით, რომ ხსენებულ კრებებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს იმ მოწაფეთათვის, რომელთაც საშუალო სწავლა არ დაუმთავრებიათ, და თავიანთ პირად მოვალეობას კი დაივიწყებენო.

«სარატოვსკი დნევნიკ»-ი იუწყება, რომ სარატოვის გუბერნიის სამმართველომ, ბალაშოვის მუზეუმის განსამეორებელ კურსების მასწავლებლის ი. ა. ვედენიაპინისაგან შემდეგი ცნობა მიიღო: „სოფ. ტურკის სასწავლებელში ჩემთან მოვიდა ორი პოლიციის «სტრაჟნიკი» და მთხოვა სკოლაში მიმეღო. პირველად ვერ გავბედე, მაგრამ, ბოლოს დავფიქრდი, რომ, როგორც მასწავლებელს, ნება არა მქონდა უარი მეთქვა და ჩავრიცხე მუდმივ მაყურებლებთა სიაში. რამდენისამე დღის შემდეგ არც ერთს ჩემ შეკითხვაზედ მაყურებლებმა პასუხი არ მომცეს და გამომიცხადეს, რომ თუ სკოლაში პოლიციელები დარჩნენ, ჩვენ მეცადინობას თავს დავანებებთო. როგორცა ჰხედავთ, ეს სამწუხარო გარემოება სკოლის საქმეს აფერხებს ჩემის მოქმედების პროგრამას შესამჩნევად ავიწროვებს. ვსთხოვ საერო განათლების განყოფილებას, ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ სამწუხარო მოვლენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელს სკოლაში მხოლოდ ორი პოლიციის «სტრაჟნიკი» და დამრჩება“.

საგუბერნიო სამმართველომ ამის შესახებ შემდეგი განმარტება გაუგზავნა: «სახალხო ვაკვეთილების წესდების ძალით, პოლიციას არ ევალება სახალხო სკოლებში სწავლებას თვალ-ყური ადევნოს. ყველა შეცდომის პასუხის-მგებელია ჯერ პირადად მასწავლებელი და მერე საგრობო სამმართველო, როგორც სკოლის პატრონი. მაშასადამე, პოლიციელი, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი, სკოლაში არ მიიღება. გარდა ამისა, პოლიციელს არ შეუძლიან დრო-გამოშვებით რაიმე კურსებს დაესწროს და არც სამუდამო ყურის მგდებლად შეუძლია სკოლაში ჩაწერა“.

ეს განმარტება დანარჩენ მასწავლებლებსაც გაუგზავნეს და ბ-ნ ვედენიაპინს დაავალეს, ხსენებული პოლიციელები დაუყოვნებლივ სკოლიდან გამორიცხოს. (რ. ვ.).

— სოსნოვიციდან იუწყებიან, (პეტროვ. გუბ.) 28 ნოემბერს, შუადღის 1-ლ საათზედ, წირვის შემდეგ 100 კაცამდე მუშებმა აჰმართეს წითელა დროშა და გაემართნენ მოდრჟიევსკის ქუჩისაკენ. ქუჩის მოსახვევში დემონსტრანტებს დაუხვდა მორიგი დარაჯი და უნდოდა გაეფანტნა, მაგრამ წააქციეს და ფეხ-ქვეშ გასრისეს. ბოლოს ტელეფონით გამოუძახეს ჯარს, მაგრამ ჯარის მოსვლამდე ხალხი დაიშალა. (რ. ვ.).

— ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ვესიეგონის მაზრის (ტვერის გუბერნია) თავად-აზნაურთა წინამძღოლს ი. როდიჩევს, რომელსაც 1895 წელს საზოგადო მოღვაწეობა აუკრძალეს, ეხლა ხან შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო ყოველ გვარის მოღვაწეობისა.

— კიშნევიდგან «ნოვოსტ»-ს ატყობინებენ: «კრუშევანის წერილებით გამწვავებულ ბესარაბიელ ებრაელებს ადგილობრივ გუბერნატორთან დ არქიელთან მოლაპარაკება ჰქონდათ. 6 დეკემბერს ყველგან გამოაკრეს გუბერნატორის მოწოდება ხალხთან წესიერების აღსადგენად. 7 დეკემბერს პალატაში დაიწყება ებრაელების აკლების საქმეთა გარჩევა.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** (ქართული თეატრი). ქართულმა დრამატიულმა დასმა 5 დეკემბერს წარმოადგინა შექსპირის დიდებული ტრ. «ჰამლეტ»-ი. თვით ჰამლეტის როლს ასრულებდა ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ბ-ნი მესხიშვილი უფრო ჩაჰკვირვებია ამ როლს და ახლა უფრო შეგნებით წარმოგვიდგინა მრავალ ტანჯულ დანიის პრინცის სულის კვეთება. სამართლიანობა გვაიძულებს აღვნიშნოთ, რომ ვ. მესხიშვილი ახლა უფრო კარგი ჰამლეტი იყო, ვიდრე სხვა დროს: მშვენიერი გრიმი, მიმიკა, სილამაზე არტისტს ძლიერ ხელს უწყობდა. კარგად ჩაატარა არტისტმა სცენები ოფელიასთან და დედასთან. მართლაც რომ დიდის სინამდვილით თამაშობდა. მეხუთე მოქმედებაში მესხიშვილს დაქანცულობა ეტყობოდა და მკრთალად შეასრულა, განსაკუთრებით უკანასკნელი სცენები სასაფლაოზედ. ხმა ძლიერ აწუხებდა არტისტს.

სხვა მოთამაშეთა შორის აღსანიშნავია ბ-ნი აწყურელი, რომელმაც თითქმის უნაკლულოდ ითამაშა გაიძვერა პოლონიუსის როლი. ერთი რამ კი უნდა შევნიშნოთ: მგონი ქართული კითხვა დაჰვიწყებია. როცა კითხულობდა ჰამლეტის მონაწერ წერილს მეფისა და დედოფლის წინ, სრულიად ვერ წაიკითხვა, მარცვლებს სტოვებდა ლექსში და მეტრიკა და ცეზურაც იკარგებოდა. პოლონიუსი ამ ჰამლეტისაგან მოწერილ წერილს ოფელიასთან ასჯერ მაინც გადაიკითხავდა, რათა დარწმუნებულიყო, სრულის ჭკუისაა ამის დამწერი, თუ არაო და თითქმის ზეპირადაც დაისწავლიდა, მაგრამ ბ-ნმა აწყურელმა კი უბრალო წაკითხვა ვერ მოახერხა ამ წერილისა.

ქ-ნი დავითაშვილი კარგი ოფელია იყო მესამე მოქმედებაში; მხოლოდ შემდეგ ოფელიას სიგიჟე სრულიად ვერ გადმოგვცა. როდესაც ოფელია შემოირბენს ოთახში გაგიჟებული და დაიწყებს სიმღერას, მაშინ ქ-ნი დავითაშვილი დინჯად შემოვიდა ოთახში და დიდის გულდამშვიდებით წარმოსთქვა ლექსები.

ვ. გამყრელიძე კარგი კლავდიუსი იყო. სხვები ხელს უწყობდნენ ანსაბლს და როლების ცოდნაც ეტყობოდათ, რაიცა არ შემიძლია ვსთქვა მ. ამაშუყელსა და გრ. ჩარკვიანზე.

ბ-ნი გვარაძე ბევრჯელ გამოიწვია ხალხმა; კარგად წაიკითხა მან ლექსი «აგერ მიაგნო მოხუცს პრიამს. იგი ამ ჟამად ულონოდ ქმნილი ბერძენთა გმირს ვეღარას აკლებს»... და სხვ.

ბევრი სცენები გამოეკლოთ, მაგალითად სურათი მეფის დარბაზის წინ, გიჟ ოფელიას სიმღერები და მრ. სხვ.

თეატრი სავსე იყო მაყურებლებით. მათ შორის რუსებსაც დაინახავდით.

№ 13.

—

**ავლაბრის თეატრი.** კვირას, 12 დეკემბერს, ავლაბრის თეატრში (არაქსიანისა) ქართულ-სომხურ სცენის მოყვარულთა ამხანაგობამ ქართულად წარმოადგინა იტალიურიდგან ფ. ქორიძის მიერ ნათარგმნი 3 მოქმედებიანი მელოდრამა „ორი დარაჯი“. პიესის შინაარსი არა ერთხელ ყოფილა ჩვენს გაზეთებში მოყვანილი და ამიტომ აქ არ შევეხებით. ვიტყვით ორიოდე სიტყვას მხოლოდ სცენის მოყვარულთა შესახებ. ავლაბრის სცენის მოყვარულთა ამხანაგობა შესდგა ამ ხუთის წლის წინადა და მას შემდეგ ეწევიან უღელს. ამათ ის შესძლეს, რაც თვით ქართულმა თეატრის უმთავრესმა ძალამ ვერ შესძლო, ე. ი. ვერ მოიზიდა ავლაბრის მდაბიო მუშა ხალხი. და დღეს დიდ-ძალი საზოგადოება ესწრება წარმოდგენას, თუმცა ეს რამდენიმე ხანია, რაც განცალკევდნენ და დაიყვნენ რამდენსამე დასად. კვირას, 12 დეკემბერს, ერთმა ამ დასთაგანმა გამართა ეს წარმოდგენა და ცუდათაც ითამაშეს, განსაკუთრებით 1-ლი და მე-2 მოქმედებანი. ზოგან მთლად რომ დაეხუჭა თვალები მაყურებელს, ის უფრო ერჩივნა, მაგრამ რაც შეეხება მესამე მოქმედებას, კარგად ჩაატარეს. შემდეგ წარმოადგინეს სომხურად ერთ-მოქმედებიანი კომედია ავეტიანისა «პაშტონს ხრმფალე» (ჩემი სამსახური ხვრინვაა). ამ კომედიამ მხიარულად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო.

ვ. ს—ძე.

—

**ბაქო.** კვირას 5 დეკემბერს ბაქოს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში მსახიობ ქ-ნ ანდრონიკაშვილის, ეფ. მესხის და ბ-ნ ჟღენტის მონაწილეობით და სცენის მოყვარულთა დახმარებით გაიმართა ქართული წარმოდგენა.

ითამაშეს ქართველი დედა 4 მოქმედებიანი დრამა ავქ. ცაგარლისა.

როგორც მოგეხსენებათ, ამ პიესაში უმთავრესი როლი მარინეს ეკუთვნის (ქ-ნი ანდრონიკაშვილი), შემდეგ ვახტანგს (ჟღენტი) და ლეილას (ქ-ნი მესხი) და მსახიობთა ყურადღებაც იმათზე უნდა იყოს მიქცეული. მთელი პიესის ძალა-სიმშვენიერე ამათ ხელშია. კარგად ითამაშებენ, პიესაც ღირს შთაბეჭდილებას აწარმოებს მაყურებლებზე, ცუდად,—პიესაც ვეღარ მოქმედობს სასურველად... ამისათვის მოხარული ვართ, რომ ქ-მა ანდრონიკაშვილმა და ეფ. მესხმა ასე კარგად შეასრულეს ფაქიანთი როლები, მხოლოდ ვწუხვართ, რომ ვახტანგი ვერ უწყობდა მათ თამაშს ხელს და ერთობ ცივად ჩაატარა თავისი როლი. ხშირად ისე ავტომატიურად წა-

---

ან ვისი გული ლალია,
ვისი იტირებს გამზრდელი.

მარტო მწარიას დაუკრეს,
ენა დაუდგა სათქმელი,
მაგრამ მზათ არის იმისთვის
სამოთხის კარის გამღები.

ემაგისთანა ვაჟკაცსა
თავზე დაედგმის სანთელი,
ალალი არის იმაზე
ცრემლი დედისგან ნადენი.

სამშობლოს გულისათვისა
სისხლის მიწაზე დამღვრელი,
ღმერთმა აცხონოს, ცოდვისაც
აღირსოს გამოსახსნელი.

არ დაიზოგა ბეჩავმა
თავისი თავი მხედველი,
არ გაუშვია მშვიდობით
მგელი, სამშობლოს შემჭმელი.

—

## ფშავლების რჩევა.

შეკრებილიყვნენ ფშავლები
და ჰქონდათ საუბარია,
დაძებნულნი ჰკითხავენ:
«რა იქმნა ჩვენი მწარია?

«თუ-კი ძმები ხართ, ჭირიმეთ,
«მოვძებნოთ ის ბელადია,
«დამხსნელი ლეკის ძალთაგან,
«ის ჩვენი მკაცრი მწარია!!.

«ვინ იცის, იქნება, მოკლეს,
«ლეკებმა მოსჭრეს თავია,
«ან ცოცხალ-მკვდარი გდია იქ,
«სადაცა ბრძოდა მწარია.

ლელაიც იმასთან იყო,
თავ-განწირული ქალია,
ვინ იცის თვალ ცრემლიანი
ისიც მასთანვე არია.

ცოტა-ხანს უკან მოისმა
ქალის ტირილი, ჩქამია,
წამოიძახეს ფშავლებმა:
«ვაჰ, ჩვენ მოგვიკვდეს თავია...

«მართლა მოუკლავთ მწარია,
«არ უნდა საუბარია!!
სულ იქ მიგროვდნენ ფშავლები,
ღვარეს ცრემლები მწარია.

*
* *

იქიდგან წამოასვენეს
ნაბადში შახვეულია,
სოფელში ამაიტანეს
სისხლით დაცლილი მწარია.

შეკრეფილიყო სოფელი,
უქმნია გლოვა ძმურია,
მოძღვარიც მოეპატიჟნათ
და გადეხადნათ მკვდრულია.

დაუმარხნიათ ძმურადა
ზედ ლოდიც დაუდვიათო;
საყელო გადუღლიათ
და ცრემლი დაუღვრიათო *).

მ. ქისტაური.

---

*) ეს ლექსი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ დაწერილია სრულიად უსწავლელ ფშავლის მიერ. რედ.

მოიძახებდა სიტყვებს, თითქოს არავითარი გრძნობა არ ახლავს თანაო.

განსაკუთრებით კარგი იყო ქ ნი ანდრონიკაშვილი. მან სავსებით დაგვიხატა ძველი გმირი დედა, რომელიც ძუძუსთან ერთად ასწავლის თავის შვილებს სამშობლოსათვის თავგანწირვას, ამზადებს მის მსხვერპლად და ხარობს იმითაც, როდესაც ღირსეულად იხდიან თავიანთ ვალს ქვეყნის წინაშე და გმირულად იხოცებიან ბრძოლის ველზე. მარინეს ვერ აშინებს, უკედ რომა ვსთქვათ, სულით ვერ ამარცხებს, ვერავითარი უბედურება, მზად არის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეესრისოს მოსისხლე მტერს და ტანჯვა-წამებას არჩევს მისგან ნაბოძებ ბედნიერებას...

ძალიან კარგს იზამენ, რომ ზოგიერთი «ჩვენი დღევანდელი გზა-დაბნეული დედა» ხშირად დაესწრებოდეს ამ პიესის თამაშს და ცოტა რასმე გადმოიღებდეს მარინესაგან.

ქვეყანას მუდამ ეჭირვება მრავალი მსხვერპლი შესაფერი ბრძოლა და შეიძლება, იმათაც შეეძინათ რამე...

სცენის მოყვარულებს, რაც კი შეიძლება მოსთხოვს მათ კაცმა, საერთოდ არა უშავდათ რა. განსაკუთრებით კი ერჩეოდა მათში კარგის თამაშით ბ-ნი შველიძე.

ამ მოკლე ხანში ეს მეორედ გაიმართა ხსენებულ დარბაზში ქართული წარმოდგენა და დარბაზი ორჯელვე გაჭედილი იყო ხალხით. ნახავდით თავმოყრილს ყველა წოდება—კლასის ხალხს და ეს მოვლენა ჩვენთვის დიდად სასიხარულოა.

პეტრე მაჭავარიანი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## საღამოს დეპეშები

14 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. მთავრობისცნობა. შემოდგომაზედ პეტერბურგში რამდენჯერმე მოჰხდა კრება სხვა და სხვა საგუბერნიო ერობის ხმოსანთა, რომელთაც გამოსთქვეს სურვილი; რომ, ჩვენ სე აზრით, საჭიროა სახელმწიფოს შინაურ მართვა-გამგეობის შეცვლაო. ეს სურვილი მწერლობისა და სხვა და სხვა, გარკებ ამისათვის ან სხვა მიზეზით გამართულ კრებათა მსჯელობის საგნად გაჰხდა. გარდა, ამისა ზემოხსენებულ ამა თუ იმ კრებაზედ გამოთქმული სურვილი, კანონის მიერ ნება-დაურთველად, განხილულ იქმნა ზოგიერთ ქალაქის საბჭოსა და საერობო კრების მიერ იმ კაცთა ზედგავლენით, რომელთაც საზოგადოებრივსა და სახელმწიფოს ცხოვრებაში მღელვარებისა და უწეს-რიგობის მოწვევა უნდათ. ამასთან ყოველსავე ადვილად შემთვისებელ ახალგაზრდობასა და საზოგადოებაში აღძრულ შფოთვითა და გონების აღელვებითაც ისარგებლეს, ზოგიერთ ქალაქში მოჰხდა აურ-ზაურიანი ყრილობა, საჭიროა მთავრობას წარუდგინოთ, რას ვითხოვ რისგანაო. ხოლო ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონები და სახელმწიფოში არ არსებული შეურყეველი წეს-წყობილება ყოვლად წინააღმდეგია მოთხოვნილ ცვლილებათა შემოღებისა. საზოგადოება ქუჩებში თავს იყრიდა დემონსტრაციებს ჰმართავდა და ამასთან მთავრობასა და პოლიციას იარაღით წინააღმდეგობას უწევდა. აწ არსებულ მართვა-გამგეობის წინააღმდეგ დაწყებულს მოძრაობას ზემოხსენებულ მღელვარებას სცდილობენ ზოგადი ხასიათი მისცენ, მაგრამ ზემოხსენებული მოძრაობა ეუცხოვება რუსეთის ერს, რომელიც აწ არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილებას ყოველთვის თანაუგრძნობდა. ამ მოძრაობით გატაცებულთ ავიწყდებათ, რომ რუსეთს ეხლა მძიმე დღე ეწვია; დაბრმავებულნი იმ ცრუ ლანდის სიკეთით, რომელიც ვითომ მოჰყვება საუკუნოებით განმტკიცებულ და სახელმწიფოს აწ არსებულ წეს-წყობილების შეცვლას, არ ესმით, რომ ამით თავიანთ სამშობლოს კი არ ემსახურებიან, არამედ მის მტერს. მთავრობის კანონიერი მოვალეობაა; დაიცვას სახელმწიფოში არსებული წეს-წყობილება და საზოგადო მშვიდობიანობა შინაგან ცხოვრების წესიერ მიმდინარეობის დარღვევის მსურველთაგან და ამიტომ წეს-რიგისა და მშვიდობიანობის ყოველ გვარი დარღვევა და მთავრობის წინააღმდეგ მომხდარი კრება უნდა შეჩერებულ და შეწყვეტილ იქმნას. და შეიწყვიტება კიდეც მთავრობის განკარგულებაში მყოფ ყოველ გვარ კანონიერ ღონის ძიებითა; დამნაშავენი უფრო კი სახელმწიფო სამსახურში მყოფნი, კანონიერად დაისჯებიან. საერობო, საქალაქო და სხვა ყოველ გვარი დაწესებულება და საზოგადოება არ უნდა გადასცილდეს საზღვარს და არ უნდა შეეხოს იმ საგნებს რომელთა განსჯა და გარჩევა, კანონის ძალით, მინიჭებული არა აქვთ. საზოგადო კრებათა ის თავმჯდომარენი, რომელთაც კრებაზედ ზოგადის სახელმწიფო თვისების საგანთა გარჩევისა და განსჯის ნებას დართავენ, დღევანდელ კანონის ძალით, პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი. მწერლობა ფხიზლად და ფრთხილად უნდა ეკიდებოდეს დღევანდელ ამბებს; შეგნებული უნდა ჰქონდეთ, თუ რაოდენ პასუხის მგებელია და თავის მხრივ უნდა სცდილობდეს დაამშვიდოს საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელმაც ესოდენ აუხვია გვერდი ამ ბოლოს დროს წესიერს მიმდინარეობას.

**ტოკიო.** 12 დეკემბერი (რეიტ.) ტოკიო გადააქციეს ერთს დიდ სამხედრო ბანაკად. ახლა იქ ის ამბავია, რაც შარშან გაზაფხულს იყო ჩვენსას, როდესაც შედგენილ იქმნა პირველი ლაშქარი მანჯურიაში გასაგზავნად. ათასობით არიან ჯარში გაწვეულნი სატახტო ქალაქში. ყაზარმები სავსეა. ბევრნი მცხოვრებლებთან არიან დაბინავებულნი. გულ-მოდგინედ ასწავლიან ჯარში გაწვეულთ სამხედრო საქმეს. საჩქაროდ სწარმოებს მობილიზაცია ხალხისა, ცხენებისა და ბატარეებისა. აზრად აქვთ, მარშალ ოიამას ლაშქარის ჯა ის-კაცთა რიცხვი ნახევარ მილიონამდე აიყვანონ. ზამთარი ხელს არ უშლის ჯარის გადაყვანის საქმეს. ტოკიოდან ლიაოიანამდე მისვლას ექვს დღეს უნდებიან. დალნიდან იარტაიმდე რკინის გზა წესიერად მოძრაობს. მხნედ ემზადებიან ფორმოზასა და სხვა კუნძულთა დასაცველად. ამით უნდა ხელი შეუშალონ ბალტიის ესკადრის იქ თავის შეფარებას.

**მუკდენი.** 13 დეკ, (საგ. კორ.) პოზიციებზე სიწყნარეა. ჯარი ყველაფრით უზრუნველ ყოფილია: ტანისამოსით, პურით, ხორცით და ბინით.

**კიშინევი.** საგუბერნიო საერობო კრებამ დაიწყო ახალ გუბერნატორის თავმჯდომარეობით. განსახილველია ას მოხსენებამდე ერთი შეეხება ერობის დებულების შეცვლას.

**ტოკიო.** (რეიტ.) ხმები, გოლანდიას აზრად აქვს ბალტიის ესკადრას თავი შეაფარებინოს ქალ. საბანგშიო, ძალიან აბრაზებს იაპონელთ. ერთი იაპონური გაზეთი ამბობს, თუ ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა არ დაიცვეს სამართლიანობა, მაშინ იაპონია იძულებული იქმნება თავის დასაცველად ღონისძიებანი მიიღოსო.

**ჩიფუ.** (რეიტ.) ამბობენ გენერალი ნოგი მძიმედ დაიჭრა ხელსა და ფეხში ტყვიებით მაღალის გორის აღების წინადაო. ნოგი ამ ჟამად დალნიში წევს საავადმყოფოში.

**ჩიფუ.** 13. დეკემბერი. (რეიტ. სააგ.) პორტ არტურიდგან მოსულმა შიკრიკმა მოიტანა ამბავი, რომ 9 დეკემბერს ხუთი ათასი იაპონელი მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნებით მიუხდა ჩრდილოეთის სიმაგრეებს, აიღეს იერიშით რამდენიმე ხანდაკი (თხრილი) და მიაღწიეს მდანარეს პაიაშანის მთის ძირზედ. ამ დროს პაიაშანის მთიდგან რუსებმა მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები დაუშინეს, აგრეთვე ანცუშანის და შანუშანის არტილერიებმა დაუშინეს ყუმბარა და მუსრი გაავლეს იაპონელთა რაზმებს. შუაღამისას მოხდა საშინელი ხელჩართული ბრძოლა ხიშტებით. იაპონელებმა რომ ზურგისაკენ მომავალი რუსის მაშველი ჯარი დაინახეს, ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს, რამდენიმე ტყვიის-მფრქვეველი დაყარეს. სამასი თოფი. სამოცი იაპონელი დატყვევდა. იაპონელთა ზარალი 600 კაცამდეა, დამარცხებულმა იაპონელებმა იტცუშანის მახლობელ სერებისაკენ დაიხიეს, სადაც ხანდაკები (თხრილები) გააკეთეს, თუმცა რუსთა ციხეებიდგან ამ დროს უშენდნენ ყუმბარებს და აქაც ძალიან დაზარალდნენ. ყოველ კვირა იაპონელთა ბანაკს პორტ არტურთან მაშველი ჯარი მოსდის ორმოცი მატარებლით.

**ტოკიო.** 13 დეკემბერი (რეიტ. სააგ.) პორტ არტურიდგან მოსულმა იაპონელმა აფიცერმა სთქვა, რომ აღმოსავლეთ-კიკვანშანიდგან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ციხიდგან სჩანს შიდა ნავთსადგური, რომელიც მაღალი გორიდგან არა სჩანდა. ამიტომ რუსის ნაღმოსნები რომ აქამომდე ასე ოსტატურად იმალებოდნენ, ამას იქით ვეღარსაით დაემალებიან ნასროლ ყუმბარებს. 6 დეკემბერს იაპონელებმა ანიშნეს საავადმყოფო გემებს, რომელნიც ეფარებოდნენ ნაღმოსნებს, და მოსთხოვეს მანდედგან მოგვეცალენიო. რუსებმა სთხოვეს ექვსი საათი ვადა მოგვეციოთ, რომ ამ დროს ნაღმოსნებს თავი დაეხწიათ ღამის სიბნელეში. რითი დაბოლოვდა ეს საქმე, არ ვიციო, სთქვა აფიცერმა.

**პეტებურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ.-ად. კურპატკინისა 13 დეკემბრის თარიღით: «ბრძოლის შესახები მოხსენება არა მოსულა რა. 9 დეკემბერს ღამე რაზმი თავ-გამოდებულთა კაპიტანი ვერციოტის უფროსობით სოფელ ლინშანპუსკენ გაემართა საზვერავად. თუმცა სიფთხილის ღონისძიებანი იყო მიღებული, მაინც მტერმა შეჰნიშნა მზვერავნი, როცა ფანზებს მოუახლოვდნენ 20 ნაბიჯზედ და დაუშინა თოფები. თავგამოდებულნი ამოეფარნენ კედლებს და, როცა თოფის სროლა შესწყდა, შემოუარეს ფანზებს და შეუმჩნევლად ჩაჰყარეს პიროქსილინით გატენილი ყუმბარები. თითქმის ერთსა და იმავე დროს იფეთქა სამგან ყუმბარებმა და დააქცია ფანზები. ერთი მათგანში იაპონელთა სადარაჯო იყო. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. ყოველსავე ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

7 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,35 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91½ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89½ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ..მომგ.ბილ. 1864 წ. | 425 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 318 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 266½ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | 90½ წ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | 87⅛ წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

**ნაწერები ს. მესხისა**

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

**ვკისრულობ**

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს.

(0—უ—1).

**შოთა რუსთაველის**
**დიდი სურათი**

დაიბეჭდა სუფთად და შნოიანად, ფოტოტიპიით ორმაგიან ბრისტოლის მთელ თაბახზედ. დართული აქვს აკაკის ლექსი:

«სულ მნათო! მადლი შენს გამჩენს»!

**ფასი ათი შაური**

ვინც ათ სურათს ერთად იყიდის ნაღდზედ, თითო ორ აბაზად დაეთმობა და ვინც ოცზედ მეტს—თითო 35 კაპ. მისამართი ფოსტით: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა", სოსიკო მერკვილაძეს. (10—8)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 ГОДЪ
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

**ВОКРУГЪ СВѢТА**

ВЪ ТЕЧЕНІЕ ГОДА ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

**50** №№ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНАГО ЖУРНАЛА.
Путешествія.—Этнографія.—Романы и повести, изображающіе разныя приключенія на сушѣ и на морѣ.—Очерки и разсказы.—Стихотворенія.—Спортъ.—Картины.—Иллюстраціи.—Портреты. 1.200 столбцовъ текста.

**12** №№ ЕЖЕМѢСЯЧНАГО **МОДНАГО ЖУРНАЛА** съ изящными, но общедоступными дамскими и дѣтскими нарядами.

**12** образцовъ ИЗЯЩНЫХЪ **ДАМСКИХЪ РАБОТЪ** по лучшимъ русскимъ и иностраннымъ образцамъ.

ВЪ КАЧЕСТВѢ ПРЕМІЙ ПОДПИСЧИКАМЪ „ВОКРУГЪ СВѢТА" БУДЕТЪ ДАНО

**БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ**

ДВА ЧРЕЗВЫЧАЙНО ЦѢННЫХЪ и БОГАТЫХЪ ИЗДАНІЯ.

**1** ТОМЪ въ 375 стр. **„МЫСЛИ МУДРЫХЪ ЛЮДЕЙ":**
Эпиктета, Діогена, Марка Аврелія, Сократа, Конфуція, Будды, Лао-Тсе, Аристотеля, Платона, св. Августина, Паскаля, Руссо, Спинозы, Канта, Шопенгауера, Достоевскаго, Рёскина и мн. др. на каждый день собранныя знаменитымъ писателемъ
**Львомъ Николаевичемъ ТОЛСТЫМЪ.**

**24** ТОМА ИСТОРИЧЕСКИХЪ РОМАНОВЪ (въ 150—200 печатныхъ листовъ)
**Александра ДЮМА** (отца),
куда войдутъ шесть произведеній знаменитаго романиста: Графъ Монте-Кристо.—Виконтъ де-Бражелонъ.—Двѣ Діаны.—Королева Марго.—Графиня де-Монсоро.—Сорокъ пять. Подписчики „Вокругъ Свѣта" получатъ ихъ въ полномъ видѣ, безъ какихъ либо сокращеній. Въ отдѣльной продажѣ романы Дюма стоятъ 15 руб.
Выданные ранѣе въ премію „Вокругъ Свѣта" и вышедшіе затѣмъ отдѣльнымъ изданіемъ при цѣнѣ въ 3 р. романы Три мушкетера и Двадцать лѣтъ спустя высылаются годовымъ подписчикамъ нашего журнала за 1 р.

Кромѣ того, съ приплатою **одного рубля**, подписчики «Вокругъ Свѣта» **получатъ**

**НЕБЫВАЛУЮ ПРЕМІЮ:**

богатую художественную галлерею стѣнныхъ картинъ —

**Война и ея герои,**

**12 ОЛЕОГРАФІЙ**, т.-е. художественно исполненныхъ во множествѣ красокъ картинъ и портретовъ (размѣромъ каждая въ 40×52 сант.), посвященныхъ наиболѣе величественнымъ и потрясающимъ событіямъ войны Россіи съ Японіей и воспроизводящихъ съ мельчайшими подробностями выдающіеся моменты кровавой грозы на Дальнемъ Востокѣ. **КАРТИНЫ:** Наша армія и флотъ.—На сушѣ и на морѣ.—Выдающіеся бои, стычки, схватки, штурмы и т. д.—Мирная работа подъ грохотъ пушекъ.—Коварный врагъ.—Взрывы и гибель судовъ.—Доблестн. подвиги русск. оружія.—Защитники величія Россіи: Куропаткинъ, Стессель и др. военач.

ЦѢНА НА ГОДЪ безъ картинъ Война и ея герои **4 Р.** съ перес. и доставк.

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣля 2 р., къ 1 іюля 1 р.

*Адресъ:* Москва, Петровка, д. Матвѣевой. Редакція журнала „Вокругъ Свѣта".

Изданіе Т-ва И. Д. СЫТИНА.

ЦѢНА НА ГОДЪ съ 12 картинами въ краскахъ Война и ея герои **5 Р.** съ перес. и доставк.

(2—2).

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

**კალენდარი (სათვე)**
**„ცოდნა"**

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა **ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА".

(10—10).

**ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1905 г.**

на ежедневную (не исключая и послѣпраздничныхъ дней) дешевую, литературную, иллюстрированую и общественной жизни (по расширенной программѣ, въ увеличнномъ размѣрѣ, вполнѣ могущую замѣнить дорогія газеты) газету

**„КАВКАЗСКІЙ ЛИСТОКЪ"**

**ГОДЪ III**

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

**За 340 годовыхъ номеровъ (форматъ газеты 13½×9½ вершковъ)**

| | На годъ. | На полгода. | На мѣсяцъ. |
|---|---|---|---|
| Въ Тифлисѣ | 2 р. 50 к. | 1 р. 60 к. | 35 к. |
| Съ пересылкой | 3 р. 75 к. | 2 р. — к. | 40 к. |
| Заграницу | 8 р. — к. | 5 р. — к. | 1 р. — к. |

Для служащихъ: закавказскихъ ж. д., военныхъ частей, сельскихъ общественныхъ канцелярій (черезъ управленіе, командировъ и уѣздныхъ начальниковъ) съ пересылкой на годъ 3 р. 20 к. Отдѣльные номера въ Тифлисѣ по 2 коп., а въ другихъ городахъ и на станціяхъ желѣз. дор. по 3 коп.

Новые подписчики 1905 года., желающіе получать теперь-же газету—доплачиваютъ до 1-го января въ Тифлисѣ 20 коп., а иногородніе 30 коп., за каждый мѣсяцъ.

Редакція, вступая въ третій годъ изданія своей газеты и идя навстрѣчу читателямъ, особенно серьезное вниманіе обратитъ на кавказкую и общероссійскую хронику, на свѣдѣнія русско-японской войны, а также на художественный отдѣлъ, помѣщая всевозможиые рисунки изъ войны и общественной жизни.

Торговому классу, какъ мѣстному, такъ и россійскому, будетъ давать свѣдѣнія о прибывшихъ грузахъ, наложенныхъ платежахъ и о грузахъ, неплоучившихъ получателями и пр. необходимыя свѣдѣнія.

Такса на объявленія: траурныя отъ 1 р. до. 2 руб., обыкновенныя на 1-й страницѣ 4 коп., на остальныхъ—по 3 коп. за строку петита. Квартирныя и трудовыя—по 20 коп. за каждое объявленіе.

Пріемъ подписки и объявленій: въ Тифлисѣ—въ редакціи, уголъ Ртищевской и Сололакской, домъ Бебутовыхъ, № 22; въ типографіи газеты «Кавказскій Листокъ», Вельяминовская, № 7; въ ,,Бюро труда"—Эриванская площадь, противъ квера, караванъ-сарай Тамамшевыхъ. Иногородніе адресуютъ въ Тифлисъ на имя редакціи. Газета имѣетъ собственную, совершенно новую типографію, которая принимаетъ частные и казенные заказы по цѣнамъ внѣ конкуренціи.

Редакторъ-издатель *Н. И. Тамамшевъ.*

(3—ð—3).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 декабря, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи